ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

№ 49

ქალაქი ქუთაისი 28 იანვარი 2026 წელი

„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ოპოზიციის
წევრთა სიის რეგისტრაციაში გატარების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის
მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2026 წლის 28 იანვრის
სხდომის გადაწყვეტილების თაობაზე

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2026 წლის 28 იანვრის სხდომის გადაწყვეტილების თანახმად, **ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :**

მუხლი 1. ცნობად იქნეს მიღებული, რომ „საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 30[2] მუხლის მე-5 პუნქტის, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის №1 დადგენილების დანართის მე-16[1] მუხლის მე-5 პუნქტისა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის 2026 წლის 26 იანვრის №ა45.4526026001 წარდგინების საფუძველზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიურომ 2026 წლის 28 იანვარს, **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ოპოზიციის წევრთა სიის რეგისტრაციაში გატარების შესახებ“** მიიღო შემდეგი **გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა:**

„გატარდეს რეგისტრაციაში ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ოპოზიციის წევრების სია შემდეგი რედაქციით:

საკრებულოს ოპოზიციის წევრის სახელი, გვარი	**სტატუსი; პოლიტიკური პარტიის დასახელება, რომლის წარდგენითაც იქნა არჩეული საკრებულოს წევრად**	**შენიშვნა**
მებურიშვილი თეკლა	საკრებულოს ოპოზიციის წევრი (პოლიტიკური პარტია „გირჩი“)	-
მიქაუტაძე ალექსანდრე	საკრებულოს ოპოზიციის წევრი (პოლიტიკური პარტია „ძლიერი საქართველო-ლელო“)	ამჟამად უპარტიო
არჩაია ელეონორა	საკრებულოს ოპოზიციის წევრი (პოლიტიკური პარტია „გახარია-საქართველოსთვის“)	-

“

მუხლი 2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 3. ბრძანება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ჭიღვარია